



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 60  
02/11/2016

60-06-4-201611021844



**განკარგულება N 60**

**2 ნოემბერი 2016 წელი**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბაზვის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს.კ.№ 26.23.21.001.01.501) საერთო ფართიდან (6657 კვ.მ) პირველ სართულზე არსებული 229.6 კვ.მ ფართის და მასზედ წილობრიდავ დამაგრებული მიწის ნაკვეთის უსასყიდლოთ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო